

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონპროექტზე

„წილის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი პროექტის თანახმად ცვლილება შედის სასარგებლო წილისეულის მოპოვების ლიცენზიის ვადებში წილით სარგებლობის სახეების მიხედვით კერძოდ: სამშენებლო მასალებისათვის – 30 წლამდე; სხვა არამადნეული წილისეულისათვის – 30 წლამდე, რაც განპირობებული დღეს არსებული გამოცდილების გათვალისწინებით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ ლიცენზიის გაცემის მაქსიმალურ ვადაზე შესაბამისად ლიცენზიის გამცემს უფლება აქვს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ განსაზღვროს სასარგებლო წილისეული მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ვადა.

წარმოდგენილი კანონპროექტი ასევე ითავლისწინებს საქართველოს კონტინენტურ შელფზე გაცემული სასარგებლო წილისეულის მოპოვების ლიცენზიით რეგულირებულ ურთიერთობათა სტაბილურობას.

კერძოდ სახელმწიფო უზრუნველყოფს საქართველოს კონტინენტურ შელფზე სასარგებლო წილისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელი პირის უფლებების დაცვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, თუ ისინი გააუარესებს საინვესტიციო პირობებს და/ან უარყოფით გავლენას მოახდენს ლიცენზიის მფლობელი პირის ლიცენზიით განსაზღვრულ უფლებებზე არ შეეხება საქართველოს კონტინენტურ შელფზე გაცემულ სასარგებლო წილისეულის მოპოვების ლიცენზიას.

აღნიშნული ასევე გავრცელდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებზეც, თუ ეს აქტები შეზღუდავს ლიცენზიის მფლობელი პირის მიერ ლიცენზიის შესაბამისად შექმნილ და განხორციელებულ ქონებრივ უფლებებს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, “ნავთობისა და გაზის შესახებ” საქართველოს კანონი უკვე იცნობს ზემოხსენებული სახის სამართლებრივ რეგულირებას, რომლის თანახმადაც უზრუნველყოფილია “ნავთობისა და გაზის შესახებ” საქართველოს კანონით რეგულირებულ ურთიერთობებში მონაწილე ინვესტორების უფლებების დაცვა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია დაცული იქნეს ინვესტორის უფლებები საქართველოს კონტინენტურ შელფზე სასარგებლო წილისეულის მოპოვების შემთხვევაში. ასევე გაზრდილი იქნეს სასარგებლო წილისეულის მოპოვების

ლიცენზიის ვადა 30 წლამდე წიაღისეულის სარგებლობის შემდეგი სახეებისთვის: სამშენებლო მასალებისათვის და სხვა არამადნეული წიაღისეულისათვის.

ა) კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონის პროექტი "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე ითვალისწინებს შემდეგი სახის ცვლილებისა და დამატების შეტანას კერძოდ:

1. მე-10 მუხლის პირველი პუნქტის "გ" და "დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- გ) სამშენებლო მასალებისათვის – 30 წლამდე,
- დ) სხვა არამადნეული წიაღისეულისათვის – 30 წლამდე

კანონს ემატება 32¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 32¹ საქართველოს კონტინენტურ შელფზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით რეგულირებული ურთერთობათა სტაბილურობა

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს საქართველოს კონტინენტურ შელფზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელი პირის უფლებების დაცვას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები, თუ ისინი გააუარესებს საინვესტიციო პირობებს და/ან უარყოფით გავლენას მოახდენს ლიცენზიის მფლობელი პირის ლიცენზიით განსაზღვრულ უფლებებზე და ინტერესებზე არ შეეხება საქართველოს კონტინენტურ შელფზე გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემულ ნორმატიულ აქტებზეც, თუ ეს აქტები შეზღუდავს ლიცენზიის მფლობელი პირის მიერ ლიცენზიის შესაბამისად შეძენილ და განხორციელებულ ქონებრივ უფლებებს.

3. სახელმწიფო ორგანოებს და თანამდებობის პირებს უფლება არა აქვთ ლიცენზიის მფლობელს შეუქმნან რაიმე წინააღმდეგობა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი არღვევს საქართველოს კანონმდებლობას ან ლიცენზიის პირობებს.

4 წინამდებარე მუხლი არ ვრცელდება “ნავთობისა და გაზის შესახებ” საქართველოს კანონით რეგულირებულ ურთერთობებზე

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ შეზღუდავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის აღების მსურველ პირთა უფლებებს..

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრა და შესაბამისად არ აღგენს მის განსაზღვრის წესს

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს,

გ.ბ)კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ)კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელ შეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ სამთავრობო დაწესებულებები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კანონპროექტი ზეპირი შეფასებით მოწონებული იქნა სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებების ექსპერტების მიერ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: პავლე კუბლაშვილი, გიორგი მელაძე, ლაშა თორდია და კახაბერ ანჯაფარიძე

დ.დ. კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორები არიან პავლე კუბლაშვილი, გიორგი მელაძე, ლაშა თორდია და კახაბერ ანჯაფარიძე